F160

№ 145 მთავრობის მოამბე ოფიციალური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. ხუთშაბათი, ივლისის 1 1920 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებანი)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 9 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადება. ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვიდის ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ბიბლიოთეკა

ოფიციალური ბამოცემები

დეკრეტი

სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად 1920-1921 სამეურნეო წლის ანგარიშით სათანადო თანხის გადაცემის შესახებ.

1. გადაცემულ იქნეს მთავრობის განკარგულებისათვის ამ 1920 წლის ივნისის 1-დან აგვისტოს 31-დე სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად ამ დეკრეტთან დართული ნუსხის თანახმად 1920-1921 სამეურნეო წლის ანგარიშით ივნისისათვის ერთ მილიარდ ექვსას ოთხმოცდა ჩვიდმეტ მილიონი სამას ოთხმოცდა ხუთი ათას ცხრა ოცდა ექვსმეტი ათას სამას ოთხმოცდა ორმეტი ათას სამას ოცდა ექვსმეტი (1.697.385.833 მან.).

2. ივლისისათვის ოთხას ოცდა ოთხი მილიონ სამას ოთხმოცდა ხუთი ათას ცხრა ოცდა ექვსმეტი (424.392.393) მან., აგვისტოსათვის ოთხას ოცდა ოთხი მილიონ სამას სამოცდა ჩვიდმეტი ათას სამას ოთხმოცდა ექვსმეტი (424.377.393) მან. სულ ორი მილიარდი ხუთას ორმოცდა ექვსი მილიონ ას ორმოცდა ხუთმეტი ათას ექვსას ცხრამეტი (2.546.165.619) მან.

3. გარდა აღნიშნულ თანხისა მიეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშათა საგანგებო ხარჯის დასაფარავად ორასი ათასი (200.000) მან., ხოლო სამი ოთასათვის ექვსასი ათასი (600.000) მან.

4) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივნისის 22.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

ნუსხა.

1920 წლის ივნისის 1-დან აგვისტოს 31-დე მთავრობის განკარგულებისათვის გადასაცემ ყოველთვიურ კრედიტებს სახელმწიფო დაწესებულებათა შენახვისა.

№№ რიგზე	უწყებათა სახელწოდება.	გამოთხოვილი 1920—21 საბიუჯეტო წლ. ანგარიშში. ივნისისათვის.	ივლისისათვის.	აგვისტოსათვის.	ს უ ლ.
		ა ს ე ი ა თ ი თ.			
1	დამფუძნებელი კრება	3195807	2292937	2277936	7766680
2	მთავრობის საქმეთა მართ	539950	539948	539948	1619846
3	შინაგან საქ. სამინისტრო	57210233	1233591	41233591	139677415
4	განათლების სამინისტრო	94695629	493918	37493918	169683465
5	სამხედრო სამინისტრო	689751331	1536533	119536533	928824397
6	სახალხო გვარდია	110805924	3432268	31932268	180670460
7	გარეშე საქ. სამინისტრო	11404020	377262	3577262	18558544
8	იუსტიციის სამინისტრო	69165885	1044227	10904227	90974339
9	ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო	123327885	993885	9919885	143167655
10	მიწათ-მოქმედების სამინისტრო	100769296	2833721	28339721	157448738
11	გზათა სამინისტრო	134018392	13392412	133920612	701859606
12	შრომის სამინისტრო	1302113	50213	502113	2306339
13	სახელმწიფო კონტროლი	1199378	119978	1199379	3598135
	საერთო ჯამი	1677385833	124392433	1241377393	2546155619

1920 წ. ივნისის 22-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექ. თაყაიშვილი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრისა.

22 ივნისი, 1920 წ. № 207.

დაინიშნოს ქ. ტფილისის მე-9 უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის მდივანი ვიქტორ ანტონის ძე იმედაშვილი.—წ. ივნისის 23-დან.

22 ივნისი, 1920 წ., № 213.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის ივნისის 22-ის დადგენილების ძალით ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის თანამდებობის აღმასრულებელი მელქისედეკ კანდელაკი და იმავე სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ვასილ ქელბიანი დაინიშნენ ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგებად. ორივე აქ. ივნისის 22-დან.

ქუთაისის ოლქის სამართლოს თავმჯდომარე იოსებ დავითის ძ. სიდავა დაინიშნა, თანახმად თავისის თხოვნისა და რესპუბლიკის მთავრობის ამა წლ. ივნისის 22-ის დადგენილების ძალით ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორად ივნისის 22-დან.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის ივნისის 22-ის დადგენილების ძალით რესპუბლიკის ჯარების სამხედრო პროკურორის თანამდებობის აღმასრულებელ დროით მოვალედ დაინიშნა ტფილის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი, ივნისის 22-დან.

18 ივნისი, 1920 წ., № 195.

გათავისუფლებულია თანამდებობიდან და დათხოვნილია სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა ქ. ტფილისის მეხუთე უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი იოსებ ივნის ძე ბერეტიანი ამა წლის ივნისის 18-დან.

22 ივნისი, 1920 წ. № 208.

დაინიშნოს ქ. ტფილისის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად დუშეთის უბნის გამომძიებელი თანამდებობის აღმასრულებელი მიხეილ ზუგაბის ძე ხერხეულიძე ამა წლის ივნისის 23-დან.

22 ივნისი, 1920 წ., № 209.

გათავისუფლებულ იქმნა თანამდებობიდან და წარმოეზავნოს იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში ბაქოსთის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი გნდი ანდრიას ძე კრალელიანი ამა წლის ივნისის 22-დან.

№ 210.

ნარიქალის იუსტიციის სამინისტროს უწყებაში დაინიშნოს ბაქოსთის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ორაკლი იოანეს ძე ბარათაშვილი ამა წლის ივნისის 22-დან.

25 ივნისი, 1920 წ., № 219.

გათავისუფლებულ იქნეს თანამდებობიდან ტფილისის ოლქის სასამართლოს სგანგების საქმეთა გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი დიმიტრი გრიგოლის ძე გაბაშვილი მისი ითხოვნით ტფილისის სასამართლოს წევრად დანიშნის გამო ამა წლის ივლისის 1-დან.

26 ივნისი, 1920 წ. № 222.

დამტკიცებულია თანამდებობაზე საპყრობილეთა ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ალექსანდრე სვიმონის ძე ყიფიანი ამა წლის ივნისის 28-დან.

28 ივნისი, 1920 წ., № 223.

გათავისუფლებულია თანამდებობიდან სოხუმის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგის თანამდებობის აღმასრულებელი ალექსანდრე სვიმონის ძე ყიფიანი მისი საპყრობილეთა ინსპექტორად დანიშნისა გამო ამა წლის ივნისის 28-დან.

იუსტიციის მინისტრი ა. ჯაბუნიძე.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

24 მაისი, 1920 წ. № 30.

დაინიშნოს: საბაჟოკუტრო-სახაზინო ნაწილის ბუხჰალტერის თანაშემწე მოსე დიმიტრის ძე მეტრეველი, ამავე ნაწილის დროებით ბუხჰალტერის თანამდებობის აღსასრულებლად, ამ წლის 1-ლ აპრილიდან.

24 მაისი, 1920 წ., № 32.

დაინიშნოს სენაკის ხაზინის მე-2ე ხარისხის მოლარე ემელიანე ანთიმოზის ძე სახაროლიძე ფოთის ხაზინის მეორე ხარისხის ბუხჰალტრად, ა. წ. 1 ივნისიდან.

24 მაისი, 1920 წ., № 33.

დაინიშნოს ტფილისის მეორე ხარისხის ბუხჰალტერი მიხეილ არაბაჯის ძე ლუსნიაკვი იმავე ხაზინის პირველ ხარისხის ბუხჰალტრად, ა. წ. 1 მაისიდან.

24 მაისი, 1920 წ. № 34.

დაინიშნოს ტფილისის ხაზინის მოანგარიშე ეკატერინე ვასილის ასული ჭილაძე იმავე ხაზინის მეორე ხარისხის ბუხჰალტრად, ა. წ. 1 მაისიდან.

24 მაისის, 1920 წ., № 35.

დაინიშნოს ახალციხის ხაზინის რევიზიტორი ვალერიან დურგლიშვილი იმავე ხაზინის მეორე ხარისხის მოლარედ, ამ წლის 1 მაისიდან.

24 მაისი, 1920 წ., № 36.

დაინიშნოს ახალციხის ხაზინის მოანგარიშე სარკის ასულ ჯოჯუაძვილი იმავე ხაზინის მეორე ხარისხის ბუხჰალტრად, ა. წ. 1 მაისიდან.

24 მაისი, 1920 წ. № 37.

დაინიშნოს ახალციხის ხაზინის მე-2 ხარისხის ბუხჰალტერი სტეფანე ბესაძორიანის ძე გასპარაშვილი იმავე ხაზინის პირველ ხარისხის ბუხჰალტრად, ა. წ. 1 მაისიდან.

24 მაისი, 1920 წ. № 38.

დაინიშნოს ტფილისის ხაზინაში 1 ხარისხის ბუხჰალტრად ნიკოლოზ იესეს ძე ჯამსახურდია, ა. წ. 1 მაისიდან.

ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი **ავალიანი.**

გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.

15 ივნისი, 1920 წ., № 67.

თავისუფლდება თანამდებ სახაზინო რაკონის გზების სამმართველოს ექიმი კომისიის დასკვნისა № 3000 გზათა დეპარტამენტის საქმის მწარმოებელი ხ. პ. ჩიქვილაძე ორი თვით—ოცი ამ ივნისიდან ოც ივლისამდის.

24 ივნისი 1920 წ., № 88.

ა) ინჟენერ გიორგი ზაქარაის ძე ანდრონიკაშვილს, რომელიც, თანახმად თავის თხოვნისა, თავისუფლდება რესპუბლიკის ნავთსადგურთა სამმართველოს უფროსის თანამდებობისაგან.

ბ) ინჟენრად: რესპუბლიკის ნავთსადგურთა სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ინჟენერი ივსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, რომელსაც ევალება შეუდგეს თანამდებობის ასრულებას არა უგვიანეს ა. წ. 5 ივლისისა.

გ) ინჟენერ გ. ზ. ანდრონიკაშვილს ევალება მოახდინოს სრული ლიკვიდაცია 1919—1920 საბიუჯეტო წლის ანგარიშებისა და ჩააბაროს ნავთსადგურთა სამართველოს მთელი საქმეები ინჟენერ მამაცაშვილს, თანახმად არსებული წესებისა.

დეპარტამენტის დირექტორი ნ. ჯიბინაძე.

ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის ბანკი

მესამე გამოცემის აქციებზე ხელისმოწერა

თანამად ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა საზოგადო კრების 1919 წლ. 22 ივნისის დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვისა ამიერ-კავკასიის ბანკი ადიდებს ძირითად თანხას 6,000,000 მანეთიდან 15,000,000 მანეთამდე 36,000 აქციათა გამოცემით თითო აქციის ოცდა ხუთი თუმნის ნომინალური ღირებულებისა, შემდეგი პირობებით:

1) გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია ოცდა თორმეტი თუმანი თითო აქციაზე, რომელი თანხაც სრულიად უნდა გადახდილ იქნეს აქციაზე ხელის მოწერის დროს.

2) შემოსული ფულიდან: ოცდა ხუთი თუმანი ჩაირიცხება ძირითად თანხაში, ოთხი თუმანი სათადარიგო თანხაში და დანარჩენი სამი თუმანი აქციის დასამზადებლად ხარჯებისა და მისი სალერწო გადასახადის ანაზღაურებლად.

3) უპირატესობა გამოსაცემ აქციათა შეძენაში ეკუთვნის პირველი და მეორე გამოცემის აქციათა მეპატრონეთ: ორ ძველ აქციაზე დაეთმობათ სამ ახალი აქცია.

4) მესამე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა დაიწყება 1920 წლის 1 ივლისიდან და გაგრძელდება იმავე წლ. 31 ივლისამდე ქვემოთ ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებში.

ა) ტფილისში, ბათომში და ჭიათურაში ამიერ-კავკასიის ბანკში.

ბ) ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში, სოხუმში, სიღნაღში, გორში, თელავში, ბორჯომში, სვანეთში, ყვირილაში, ზუგდიდში, ონურგეთში, სურთაიერთო ნდობის საზოგადოებებში.

5) როდესაც ბანკის ძველი აქციონერები დაკმაყოფილებულნი იქნებიან სამი აქციით ყოველ ორ ძველ აქციაზე, გაუწყდებელი აქციები განაწილდება ძველ აქციონერთა შორის; ამათ მე-4 მოხლში აღნიშნული ვადაში უნდა გამაცხადონ. თუ მესამე გამოცემის რამდენიმე აქციის შეძენა სურთ. თუ მათ მიერ მოთხოვნილი აქციათა საერთო რიცხვი აღემატება გაუნაწილებელი აქციათა რაოდენობას, იმ შემთხვევაში განკუთვნილების ძალით და ტყილი გამოცემების წარმოდგენილ აქციების მიხედვით მოხდება აქციების პროპორციონალური განაწილება.

6) ვისაც მუხლში აღნიშნული ვადის შემდეგ გაუნაწილებელი აქციები პროპორციონალურად განაწილდება თანახმად მათი განცხადებისა ძველ აქციონერთა და გარეშე პირთა შორის, რომლებმაც სათანადო ფული უნდა შემოიტანონ იმავე 1 ივლისიდან 31 ივლისამდე.

7) აქციებზე ხელის მოწერის დროს ძველი აქციონერები მოვალენი არიან წარმოადგინონ თავიანთი აქციები ცალკე განცხადებასთან შესაფერი ბეჭდის დასასმელად ან და სათანადო წარწერის გასაკეთებლად.

8) ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენენ აქციებს და განცხადებებს და აღნიშნულ ვადაში არ შეიტანენ ფულს, მისაღები გამოცემის აქციათა შეძენის უფლებას ჰკარგავენ.

9) ახალი აქციები იღებენ მონაწილეობას 1920 წლის ბანკის მოგებაში (დივიდენდში) პირველ ივლისამდე.

10) აქციათა ფასების მიღებაში აქციონერებს მიეცემათ „კვიტანციები“, რომლებიც ხელის მოწერის გათავებისა და აქციათა განაწილების შემდეგ შეიცვლება დროებითი მოწმობებით სანამ აქციები არ დაიბეჭდება.

1613 5—2

საგარეო საქ. მინისტრის ე. პ. გეგეჭკორის განცხადება გათუმისა და მისი ოლქის შემოერთების შესახებ

დამფუძნებელი კრება, 29 ივნისის სხდომა

ე. გეგეჭკორი. მოქალაქენო, ორი წლის წინად ქართველი ერი უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა ტლანქ ძალას. მას დროებით ჩამოსწყვიტეს ბათომი და მისი ოლქი. ეს ალაყაფის კარები ჩვენი რესპუბლიკის და აქედან ევროპული კულტურისა და პირველი ნასკვი ჩვენი შუშაობა მოიპრობისა.

გვაგონდება ის შავბნელი დღეები, როდესაც ჩვენი დემოკრატია მოკლებული ყოველნაირ დახმარებას, დაყრდნობილი მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთარ ძალებზე იარაღით ხელში იცავდა თავის საზღვრებს გარეშე შტრის შემოსევისაგან და ამავე დროს ივერიებდა გაფანტულ იურიშებს იმ შავბნელ ძალებისა, რომელთაც უნდოდათ შინაური ფრონტი გაეტეხათ.

გაფანტებით ჩვენში სამოქალაქო ომი, დადგხროლათ ჩვენი ხალხი ანარქიის უფსკრულში. ამნაირმა ჯოჯოხეთურმა ბრძოლის პირობებმა, არამც თუ ვერ გასტეხა ჩვენი ხალხი და ვერ აიღებინა ხელი ბრძოლაზე, პირიქით (ეს თამამად შემიძლიან აღვნიშნო დღეს აქ) რომ იმ ბრძოლის ქარტეხილიდან გამოვიდა იგი კაჟად ქცეული, გასალკლდეგებული.

ბათომი ორი წლის წინად დაკარგეთ, მაგრამ ყველა ჩვენთაგანს, ვისაც სწყობდა და სწვას ჩვენი ბრწყინვალე მომავალი, ეჭვიც არ დაბადებია იმაში, რომ სამარილიანობა გაიმარჯვებს და ბათომი და მისი ოლქი, ეს განუყოფელი ნაწილი საქართველოსი ბოლოს დედა სამშობლოს დაუბრუნდება. დღეს აღსრულდა ნების ყოფა მთელი საქართველოსი, შეთანხმების სხვლეშეფიებება და კერძოთ ინგლისმა ფორმალურად აღიარებს, რომ ბათომი დაებრუნდეს საქართველოს და ასეთი მათ შიერ განცხადება დოკუმენტალურად არის ჩვენს წინაშე. (ტაში)

ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია იმედ, როგორც ყოველთვის პირნათლად შეასრულებს თავის ვალს და საქართველოსთვის უმძიმ ფრანგულად აღიარებულ უფლებას რეალურ ფაქტად აქცევს (ტაში) აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს დემოკრატიულ ინტელიგენციას და მის მთავრობას ბოროტად არ ისარგებლებს ამ მდგომარეობით. თქვენ დახსოვთ, მოქალაქენო, რომ არა ერთხელ ამ ტრიბუნიდან განვცხადებდით, რომ როდესაც ბათომი დაებრუნდება თავის დედა სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკას თავის მეზობელ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს მისცემს საშუალებას თავისუფლად ისარგებლონ ბათომის ტრანზიტით და ამ ნაირადვე სცდეს დღეს საქართველოს მთავრობა.

ჩვენი საერთო მტერები არ სცხრებიან, მოქალაქენო ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ის მოსყიდული აგენტები, რომელთაც უნდოდათ ჩვენ და სამხედრო საქართველოს შორის მწვავე ურთიერთობა დაემყარებიათ, რომელნიც არ შეჩერდენ იმის წინაშე, რომ ძმას დაეღვარა ძმის სისხლი, დღესაც განაგრძობენ თავის მუშაობას, ლამობენ ნებისყოფა მთელი გაერთიანებულ საქართველოს შეაჩერონ, ავრცელებენ ხმას, თითქოს საქართველოს მოაჯარობა დიდის ბათომის ოლქში, ვითომც შორის მაძიებელი. საქართველოს მთავრობის სხელეთი გაცხადებს, რომ ეს სრულიად ცილისწამების მოკლებული ამბის. საქართველოს მთავრობა არავისზე შურს არ აძლებს. ის ძალზეც სრულ დავიწუებას ყოველივე იმას, რაც ჩაიდინეს ბორტი აგენტების მიერ შეცდომაში შეყვანილი ზოგიერთმა ელემენტებმა ბათომის პროვინციაში. მაგრამ თუ შემდეგში ვინმე შეეცდება შეაჩეროს ძლევამოსილი მოქმედება საქართველოს ჯარისა იქ, სწ რულში, რომელიც მას უკვე ჩაბარდა ფორმალურად, თავისთავად ცხადია, ლახვარი საქართველოს ჯარის არ დაინდობს ასეთ პირებს. მე გამაგებ ჩემს მოკლე განცხადებას იმ იმედით, მოქალაქენო, რომ პროფოკაციული ზომები იმ მოსყიდულ აგენტებისა, რომელნიც ბრიან ერთ დროს, როგორც საქართველოს, ისე ბათომის ოლქის მკვიდრთა მტერები, მათ მოქმედებას გასაკვირი არ ექნეს.

ამ მოკლე ხანში ჩვენი ჯარი ბათომში შევა, არა როგორც დამპყრობელი ძალა, ვინაიდან ჩვენ გვაქვს სრული უფლება ვთქვათ რომ ბათომის ოლქის მკვიდრთა უმრავლესობა მისურვებს არის, საქართველოსთან შემოერთებას, რომ ბოლოს და ბოლოს ეს ოლქი ჭირველ მოგლეჯილ საქართველოსაგან დაბრუნდეს დიდ სამშობლოს. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ არავითარ წინააღმდეგობას, არავითარ ეჭვიანებას ადგილი არ უნდება. და ამნაირად ღრმა ყოფა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელ საზღვრებში, ისე მთლიან საქართველოსა. ამ იმედით მოქალაქენო, მივმართავ მე მთელ ჩვენ ხალხს და უსურვებ, რომ ის დიდი გამარჯვება, რომელიც ჩვენმა დემოკრატიამ თავის ბრძოლაში მოიპოვა, ეს გამარჯვება დავკვირვინება იყოს. (მხურვალე ტაში)

ალ. ლომთათიძის სიტყვა.

მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო! კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა საქართველოს დემოკრატიამ. საშინელმანო საქართველო, რომელიც სხვა და სხვა გარეშე ელემენტების მოღვაწეობის წყალობით დღემდე თითქმის მტრულ განწყობილებაში იყო საქართველოსადმი, დღეს ეს სამუსლიმანო საქართველო განუყრელ ნაწილს შეადგენს ჩვენი დემოკრატიულ რესპუბლიკისას (მხურვალე ტაში)

თქვენი სახელით მოქალაქენო ღრმა იმედს და რწმენას გამოვთქვამ, რომ დღეს ამიერ ისეთ მოქმედებას მიმართულ მათდამი ეს ორი ძიძილი ძმა გათიშული და განცალკევებული იქნენ, დღევი აღარ ექნება საქართველოს ტერიტორიაზე. თქვენ სახელით მივმართავ სამეფულმანო საქართველოს და ეტყვი:

ნუ მოგიწყრებიო იმ დღეს, რომ ეს ჩვენი ძმური განწყობილება დარღვეულ იყოს. დღე, იმ ჩვენმა გიერთაიანებულმა ძალამ დალეწოს ყოველგვარი მტერი, ვინც უნდა იყოს შინაური თუ ვის გარედან შემოსული. გაუქარგოს ეფრთიანებულ საქართველოს, გაუმთელოს სამეფულმანო საქართველოს, გაუმთელოს დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობას. (მხურვალე ტაში).

რეზოლიუცია

თავმჯდომარე კენჭს უყრის სოც. დემ. ფრაქციის მიერ შემოტანილ რეზოლიუციას, რომელიც ეთობება იქნა მიღებული: „მოისმინა რა საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. გეგეჭკორის მოხსენება ბათომის ოლქის შეთანხმების საქართველოსთან და ბათომის ოლქის საქართველოსთვის დაბრუნების შესახებ, დამფუძნებელი კრება გამოსთქვამს კმაყოფილებას, რომ სამართლიანობის იდეამ გაიმარჯვა და საქართველოს უდაო უფლება აღიარებულ იქნა. დამფუძნებელი კრება მიესალმება სამეფულმანო საქართველოს ულოცავს მას მის მშობლიურ დედასთან დაბრუნებას და გამოთქვამს მტკიც რწმენას, რომ საქართველო განურჩეველად სარწმუნოებისა, თაყვანიცემით დაიცავს ეგზომ მსხვერპლით მოპოვებულ დამოუკიდებლობას".

შემდეგ კრება შეუდგა მორიგ საკითხების განხილვას.

ქ-ნ. შარაშიძის ახსნას მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები შემდეგი კანონებისა: საპყრობილეთა დამცველი რაზმის შტატებისა და ბარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ, ტფილისის სასამართლო პალატის შტატის დამტკიცების შესახებ, საპატრონოთა საქმის ვმდღეულის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ; ქალ. ფოთის სასარგებლოდ ნაციონალიზირებით შემოტანილ და გატანილ საქონელზედ საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ.

გ-რ. გოგიჩაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის ბონის ემისიისა 1920—1921 წლისათვის ნაკარაუდევის პიუჯეტის ფარგლებში.

მელ. ჩხეიძის მოხსენებით ცალმაოთად იქნა მიღებული დეკრეტი ქალაქ ტფილისის მილიციის შესანახად 1913—1919 წლ. განმავლობაში გაწეული ხარჯით 50 პროცენტის ანაზღაურებისა.

მ-ივე მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა რესპუბლიკის ქალაქისა მილიციის შტატების და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ნ. ომხრელიძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი გზათა უწყების 1919—1920 წლის ხარჯთ - აღრიცხვის დამატებად 150,028,025 მან. 65 კაპ. გადადებისა. დასასრულ დახურულ კრებაში განხილულ იქნა კანონ-პროექტი სახალხო გვარდიის შტატის დამატებისა და ცვლილების შესახებ.

არა ოფიციალური განყოფილება

შინაო-მოქმ. სამინისტროში.

სახალხო-სამეურნეო განათლება.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ შედგენილი მოხსენება საშუალო და პირველ დაწყებით სასოფლო-სამეურნეო სკოლების მოწყობის შესახებ, მთავრობამ მოიწონა. პროექტთან თანდართულ განმარტებით ბარათში სამინისტრო აღნიშნავს, რომ საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლები საშუალებას მისცემს იმ პირებს, რომლებმაც უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლები დაასრულეს მიღონ ასე, თუ ისე დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო განათლება. საშუალო სკოლებს კურს დამთავრებულებს ეძლევათ ნება მასწავლებლობისა პირველ დაწყებით სასოფლო-სამეურნეო სკოლებში ტანჯიკურ მუშაობისა და სასოფლო მეურნეობის ზოგიერთ დარგებში. ჯერ-ჯერობით რესპუბლიკის საზღვრებში დაბრასხულია 4 საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნა. ტფილისში მესაქონლეობის და მეშაღლეობის განყოფილებით, ქუთაისში ასეთივე განყოფილებებით, მუკუზაში-მევენახეობის და მეღვინეობის განყოფილებით და ტფილისის გუბერნიაში მებაღეობის, მესაქონლეობის და მერძეობის განყოფილებებით. პირველ დაწყებით სკოლებსა უნდა მოამზადონ მსმენელები ისე, რომ შესძლონ საკუთარი მეურნეობის გაზრდა. ასეთი შკოლები გაიხსნება: სოხუმში, ლანჩხუთში და გორის, ღუმების და ტფილისის მაზრებში. გარდა ამისა განზრახულია მესაქე ტიპის სკოლის სახელდობრ წერა-კითხვის მცოდნეთათვის სასოფლო მეურნეობის პრაქტიკულ სკოლის დაარსება. ეს სკოლები შეიძლება გაიხსნას სახელმწიფო მამულებში და ადგილებ ერობების საშუალებითაც. მიწათ მოქმედების სამინისტრო ამასთანავე, უფლებას იტოვებს ამ სკოლებს გადასცეს ამ სკოლებს უფასო სარგებლობაში მიწის და ტყის ნაწილები, რომელიც საჭირო იქნება სკოლების მოქმედებისთვის, იმავე სიფუძველზე, რაზედაც სახალხო განათლების სამინისტრო თავლეურს აღრ წეს საერთო გამანათლებელ სასწავლო ტ წესებულებებს.

მიწის რეფორმის შედეგები.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაამზა-ვა მოხსენება, რომელიც ახასიათებს მის რეფორმის შედეგებს 1920 წ. პირველ ნვარამდე. ცნობები ივსულება 1918 წლის და ნაწილობრივად 1919 წლისწინდელი. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ფაქტიურად ჩამორთმეულ მიწების რაოდენობა 19 წლის 1 იანვრამდე ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ეს ქვემოთ არის ჩამოთვლილი. ვგრდა მისი შეტანილ არ აირის სოხუმის ოკუმრომორთმეული მიწები. სადაც ეს ჩამორეული სულ ახლა დასრულდა. აღმოსავლეთ საქართველოში, თუ ვივარაუდებთ 9 მაზრას, ტრების მიხედვით ჩამორთმეულია — 71 მამული 511.538,97 დესიატ. თითო მამულ საშუალო რაოდენობა შეადგენდა 1884,8 დეს. სულ აღმოსავლეთ საქართველოში ნაცით დატოვებული მიწების რაოდენობა უდრის 27.572,46 დესიატ. სულ აღმოსავლეთ საქართველოში მაზრების და მიხედვით ჩამორიგეულა: ტფილისის მაზრაში 42.139,71 დ., სიღნაღის— 39.159,68, თელავის—14.90,74, ბორჩალოს 91.314,18 დეს., დუშეთის—20.612,60 თიანეთის 31.636,79 დ. ახალციხის 78.376,24, გორის 120,506,12 დ. ახალქალაქის 12,685,61 დეს. ამ ცნობებიდან ცხადი, რომ ყველა ზედმეტი მიწა ჩამორთმეული გორის მაზრაში, სადაც უდიდესი ქარგელი ფეოდალები იყვნენ თავმოყრილნი. სულ აღმოსავლეთ საქართველოში ნორმით ცალკეებულია 27,572,46 დეს. რაც შეადგენს ს.ულ 5.4% მიწის სტრისას. დასავლეთ საქართველოს 7 მაზრაში, სოხუმს გარდა სულ ჩამორთმეულია 935 მამული 110,157,95 დესიატ. ნორმით დატოვებულია 7,11540 დ. ქუთაისის მაზრაში ჩამორთმეულია 4273,09 დეს. ზუგდიდის 2,887,03 დეს. ლეჩხუმის—37,668,33 დეს. ოზურგეთის მაზრაში—22,227,69 დეს. რაჭის—139,72 დეს. სენაკის—28,541,09 დეს. შორაპნის—9,20,42 დ. აქვარად ყველაზე მეტი ჩამორთმეულია ლეჩხუმის მაზრაში, სადაც ნორმით დატოვებულია—221,13 დეს. ყველაზე ნაკლები ჩამორთმეულია რაჭის მაზრაში, სადაც ნორმით დატოვებულია— 57,93 დესიატ.

გაზ. „ტანი" საქართველოს შესახებ

„ტანი" ითავსებს სავანგებო წერილს საქართველოს შესახებ. წერილის ავტორი ბ. ტატიშვილი წერილის თავში იძლევა მოკლე რეზიუმეს საფრანგეთის საქართველოს პროკლამაციის შესახებ. საქართველოში, ამბობს ავტორი, ყოველთვის ღრი იყო საფრანგეთის გავლენა. რუსეთთან დამოკიდებულების ბიძგის საქართველოს ომი 14-სთან დანიშნა თავისი ელჩი. ნაპოლეონს გეგმაში ჰქონდა საქართველოსთან კავშირის შეკვრა. მაგრამ ტილზიტის შემდეგ ფრანგებს 117 წლის განმავლობაში მოესპო საშუალება საქართველოსთან დროკიდებულების დაბერისა. შემდეგ დადგა ხან საქართველოში საფრანგეთის გავლენის თანდათან დაცემისა. ამასთანავე ავტორი ადასტურებს, რომ ინგლისს ძალიან ცოტა გავლენა ჰქონდა საქართველოზეო. ამავე დროს ძლიერი იყო გერმანელების გავლენა, რასაც ხელი შეუწყო ომმა, რომ 1918 წლს გერმანელებმა საქართველო გადაარჩინეს ოსმალეთის შემოსევისაგანო. გერმანულ გავლენის გაძლიერებას ხელი შეუწყო კავკასიაში მყოფმა გერმანელმა კოლონისტებმა. საქართველოში დრავალი გერმანული სამეცნიერო ქსნედება იყო ამ ქვეყნის ისფიდებულიანთ შესწავლის მიზნით მოგზაურები. შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ საერთო ზომების მიცემა ამ ქვეყანაში საფრანგეთის გავლენის გასაძლიერებლად, კერძო საქართველოში ფრანგული ენის გავრცელებაო. ავტორი წინადადებას იძლევა, სანამ დაგვიანებული არ არის, გაკეთდეს ფრანგი მასწავლებლები ტფილისში და საქართველოში ფრანგული ლიცეუმი და ბალარისათ. ავტორი აღნიშნავს ამავეთვე ქართველებთან საკავშირო დამოკიდებულების საქმიანობას. საფრანგეთს შეეძლება საქართველოდან მიიღოს საკმარო ნედლი მასალა, მით უმეტეს რომ საქართველოში ფრანგმა თავისი ღირებულება შეინარჩუნა. ტანტიანი ამბობს: ფრანგებიც ამ დარგში ჩამორჩა სხვა ქვეყნებს და განსაკუთრებით იტალიას, რომელმაც უკვე გაიზავნა, კომისია რესპუბლიკის ეკონომიურ პირობების შესასწავლად. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრის ჩამოთვლის შემდეგ ავტორი აღნიშნავს მარგანეცის უმდიდრეს მადანს, რომელიც ა ე სჭირდება საფრანგეთსა და სს.

საგზ. რუკითი და ინგლისი

გარეშე საქმეთა სახალხო კომის. ჩიჩერინმა რადიოთი მიმართა ლორდ-კერზონს: შეკითხვით, როგორ რეაგირება ზომების მიღებას ფიქრობს ინგლისის თავრობა იმისათვის რომ ვრანგელის შეუტევი წინააღმდეგ თავის რაიონში ჩაერინონ. ამობს: არუსეთის მთავრობას არ შეუძლია არ აღნიშნოს რომ ბრანგელის მთავრობის მიერ პოზიციის ამოკლებას ვრანგელის ტერეთის მიმართ საბჭოთა რუსეთზე მეტი გავლენა ექნებოდა რუსეთის და ბრიტანეთის ხალხის ნამდვილ ინტერესებზე და ამ ორ სახელმწიფოს შორის ურიერთ შეთანხმებაზეც, რომ ამ პოზიციას გამოკვლას აღვილი ქონდა შეტევის წინა ფაზებში. მართალია მისსაშინებელია ბრიტანეთის მთავრობის დეკლარაცია, რომელშიც იგი უარყოფს ვრანგელთან სოლიდარობას, მაგრამ ფაქტია, რომ მისი (ვრანგელის) თავზე დასხმა არის ხდება პოლიტიკურ მხარეულობისა, რომელიც აღმოუჩინა ინგლისმა ვრანგელს თავის დიპლომატიურ ბარეთით. მართალია, ახლა არა ბრიტანეთის გენერალი, არამედ ვრანგელი ესხმის თავს რუსეთს, მაგრამ ითქოდა და ამენდიცია მან მიიღო სწორედ ინგლისის და მის მოკავშირე მთავრობებისაგან. ვრანგელის სტრატეგიული გადაჯგუფება მოხდა ბრიტანეთის და სხვა მოკავშირეთა გეგმების ხელმარეთ. საკირო ქვანაბრები ვრანგელმანგლისიდან მიიღო, მოკავშირე, ფლოტი კი შემაგალად ეხმარებოდა დესანტის გადმოსმაში. ამიტომ რუსეთის მთავრობას საჭირდ მიაჩნია გამოარკვიოს ფაქტიურად რაჭ გამოხატება ბრიტანეთის მთავრობის არაყოფითი დამოკიდებულება ვრანგელის გარემოსადმი. ჩვენ გვინდოდა გაგვეგო, ითუმცა ჩიჩერინი, რა დაბრკოლება უშლის კიდ ბელს საერთო მოლაპარაკების, რომელ მიმართული უნდა იყოს სრული შეთანხმებისკენ.

უცხოთი

ტფილისის ხაინებიო ტრის ცნობები

ბერლ ნი. გვლი გაზეთი იტყობინებიან, რომ ბერის მახლობლად გაჩნდა გერმანელი მაბნე გელ ყოფილი დამოუკიდებელი, რაც შეეხება პარტიიდან იყო გაძევებული. ამად გვა სამართალ საქსონიაში მოქმ იგი აცხს მატარებლებს და ადებს რიბუტ ბურგუაზიას და სხ. გელცმა შნა განსაირებული „ცენტრის წამკიდ კომისია“, რომელთა მოვალეობას ენს ბლების სახლების დაწვა და ითხევაში თუ მთავრობის ჯარი წამ წინ წინააღმდეგ. სახელმწიფო დაწესებ დაც. ფალკენშტეინში ყველა თესო კი დამწვარია. გელცის მანდატამდენიმეათას კაცისავან შესდგება დარაღებული არიან ტყვიის მფრქვეველებ ჯავშნ ავტომობილებით.

კონსტანტინეპოლში ბაზარში ომბების სიკვდილით დასჯის გვ. ქემალისტებმა ბრუსაში ჩამოახრჩვინებმა ეროსნო სკოლების დრიტ ტორ ისოლად იმიტომ, რომ იგი პოლიტ პარტს ეკუთვნოდა.

სტოკჰოლმი. სიფრანც იარმუკ გაიხსნა. გახსნას დაესწრო ეული პრაკიდენი, რომელმაც სიფრანგეთის მთავრობი სასალმები სიტყვა წარმო.

ლონდონი. „ტაიმსი“ ს: წითელთან მოლაპარაკება ვრძელდ მაგრამ ჯერ ანი არაფერ შნა, რომ ლოიდ ჯის მიერ დებული პოზიცია არის უკანასკნ ამ პოზიციიდან, რომელიც მოკავებს რუთის საკითხში ეკავით. ლაპარაკები არა პირტო ბერკეტების და კოორდინების სახე. შემდეგ გაზეთი ატეხს სკანდალ. მოიჩენს თუ არა საფრანგ. მისა ისეთი ფართე შეხედულებას ამ შესი, როგორც ლოიდ ჯორჯი იჩენს? ჩაფიქრ ლოიდ ჯორჯი, ათავებს ის, როგორც ეფექტს მოახდენს მისი საუბ გამოცხადება არა ბუნებრივი დარება.

პარიზი. ლატვიის და ლიტაშოეკიდებლობის იურიდიულად ცნობესახებ შეტანილ შეკითხვაზე პონარ ლანაცხადა, რომ ამ საკითხი საბოლოოდ ჯორჯი და პალიგრანის ლონდონში ზარის შემდეგ გადაწყდებაო.

ლონდონი. „მანჩესტერ გარდ“ იტყობინება, რომ პოლონეთსა და რუს შორის საზღვრო კავშირის შეკვრის ხანი რეალურად ამ მოკლე დროში გადება. შეთანხმების ძირითადი დებულებ კვე მოწერილებულია. იგივე გაზეთი ბანება, რომ შესაძლებელია ახალ კოალიც. პალატის სახელმწიფოების შესახებ.

ვენი გვარჩი. ფინეთის მთავრ ბოლოთ მიმართა ესტონეთის მთავრ დანოს ძან ნება მის ტერიტორიაზე მთთან ზაფო მოლაპარაკებების წარმოებისს ტონეთის მთავრობამ დააქმაყოფილა თხ და სეთი ადგილად დორნტი დანიშნა.

პარიზი. გაზეთი „ტანი“ წერილში, ლის ათთაური არის „საბჭოთა ჯოჯოხეთ საბჭოთა რუსეთის ცხოვრების ახასიათებ ვუცდით პასუხს იმ ანკეტაზე, რომელ რუსეთის მდგომარეობის შესახებ ბატონი. გან შეიიშნავა მაგრამ უმაძკეტოთა ვუკვე მივიღეთ დაწვრილებითი ცნობები თანამამულეთაგან, რომელთაც ქონდათ დურება რუსეთში დარჩენილიყვნენ, დ ლებიც სულ რამოდენიმე დღის წინეთ რუნდენ საფრანგეთში, მათ შორის არის ლა წოდების და კლასის წარმომადგ ნი. მათ შორის არიან აგრეთვე მუშები 30 თვე დაყვეს რუსეთში და ისინი ბოოთ გვისახავენ თანამედროვე რუსთა მდგომარეობას. საერთო შთაბეჭდილ საშინელებაი უმთავრესი და უყვეს ხალხი შიშილს, მასთანავე მოეხედავ მათი ლოზუნგისა სოციალისტური სწრაფ ლებიანობაზე, სურასთის განაწილებ თან, რომ აღმაშფოთებელ უსწორ-მასწორ ბას ხსნის. მაშინ, როდესაც ერთი დიდ ციონს ღებულობს, მეორე სრულიად ტ როდ რობა, მეოც საუკუნის კულტურულ არის დახეული. როგორ შეუძლია ხალხს ტანს ისეთი ცხოვრება ეს გამოცანაა. რაგორ შეუძლიათ იცხოვრონ გაუთბობელ. ბინაში 20—30 გრადუსი ყინვების დროს. ძნლია იმის ახსნა თუ რატომ შერჩა ძალა უფლებას ამდენხანს საბჭოთა მრისხანე მთავრობას. საკმარისია მოეთიოთო პრეტორიანელ დარაჯზე, რომელსაც ხუთედ აჯილდოებენ. ძალა უნებურად გახსენდებათ დანტეს „ჯოჯოხეთი“ ფრანგების შთაბეჭდილება რუსეთიდან ასეთია რომ დასჯილთათვის არ არსებობს შეცდა. საიდან და ვინ გააჯანსაღებს რუსეთს ამას ეტყვის ვერავინ ვერ იტყვის,

ბერლინი. საერთაშორისო წოდეს ჯარის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ციმბირში ჯერ კიდევ 30,000 ტყვე არის, ამდენივე ტყვე რუსის ჯარის კაცი არის გერმანიაში და ამდენივე, სოფრანგეთში ნანსენს განზრახული აქვს, აღძრას საკითხი ისეთ პუნქტების დაარსების შესახებ, რომელთა საშვალებით შესაძლებელი იქნება ტყვეების სამშობლოში დაბრუნება. რუსეთისაკენ მიმავალ გზას გაიგზავს ფინეთზე, რიაზე პოლონეთზე და რუმინეთზე. ტყვეების გადაყვანა ძლიერ ძვირი დაჯდება იმისთვის რომ ციმბირიდან ცენტრალურ ევროპაში 60,000 ტყვეს გარდასყვანათ საჭიროა 700 ათასი ტყვეების როგორმე თითონვე უნდა მიაღწიონ მოსკოვამდე.

იტალიის სამეფოს პოლიტიკურ სააგენტოს რადიოს ცნობები.

პარიზი. ივნ. 27. პალატამ მოიწონა 769,000,000 ფრანკის კრედიტი, რომელიც გაეხსნა ეროვნულ საზოგადოებას მილიერანის ჩარევის გამო. მილიერანმა განაცხადა მთავრობამ ყოველგვარი ღონე უნდა მიიღოს, რომ საზოგადოებამ ახლო ხანაში დაიწყოს მუშაობაო.

ლონდონი. ივნ. 27. უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომიტეტს თათბირი ქონდა კრასინთან და რუს დელეგატებთან.

ვარშავა. 26. საბერძნეთის სამხედრო ცნობები 24 ივნ. ბერძნებმა, რომელნიც მთელ ფრონტზე წინ იწევენ დაიკავეს სომპი, დელეზენი, მეჩდახორიც და ჩანდაც დიდნ კის სამხეთით. მტერმა უკან დაიხია. მან დასტოვა ხარაბანები. აფრიველი ტყვიისმფრქვეველები ვინტოვკები, ისსბერეთის 135 პოლკის დროშა მრავალი ტყვე და მატერიელი. მტრის ხარალი მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეების სახით 8,000 კაცს უდრის.

პარიზი. ივნ. 27. ფოშმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: გერმანიის განაიარაღებ დი 45000 ხარაბანზის განადგურება არ არის ერთად ერთი საშუალება საყოველთაო ზავის დასამყარებლდო.

პარიზი. საქართველოში მყოფი საბჭოთა წარმომადგენლობა იუწყება: 27 ივნ. საგ. ს. სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა გაგზავნა რადიო , რომლითაც ატყობინება, თომ უცხოელთა ვეჭებს უფლებ აქვთ რუსეთის ნავთსადგურებში ოდესაში, მურმანსკსა და არხანგელსკში შესულიხა. ზომებს ღებენ ბალტიის დენის რუსეთის ნავთსადგურებში მოსვლისათვის. ეს ნავთსადგურები ჯერეთჟე მაღე გაწმენდა უცხოელ ვემიებისაგან.

პარიზი. მილიერანმა პარლამენტის სავ. სშეთა კომისიას განუცხადა ომსადაეთის მოვალე დაყოფის შესახებ. მოკავშირეებმა გააწყვეტ ის არ მოსპონ ომსდელეთი—განაცხად მან. საჭიროა ეს სახელმწიფო უზრუნველყოფილ იყოს განსაზღვრულ ტერიტორიით. ამ გადაწყვეტილებამ უნდა გამოიწვიოს გადასვლა იმ შეთანხმებისა, რომელიც საფრანგეთსა და ინგლისს შორის იყო დადებით 1919 წლამდის. ომსაღეთი კარგავს დასაღით დაომთავლეთ ფრაკიას. „სულთანი რნებ კონსტანტინოპოლში, სადაც აგრეთვე ინგ სრუტეებს დამცველი მოკავშირეთა კომისია. საფრანგეთი დებულობს მანდატს სირიაზ, ინგლისი კი მესოპოტამიისა დამპალესტინაზე. კილიკია ომსაღეთის ხელში რება. ბერძნებს მიჟონ სმირნის ოკუპაცია საბოლოოდ მოეგება პლებისციტის შემდეგ. საკითხი სომხეთს შესახებ ისევ ღიათ პრის, რადგან ჯერჯერობით არცერთმა სახელმწიფომ არ განაცხადა თანხმობა მისი მანდატის აღებაზე.

ᲛᲔᲯᲛᲔᲜᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

შინაგანეული პრესა.

მილიონერ სარომაშორისო სავაჭრო პალატის გახსნა ჟენევაში.

ადგილ ი ოლები და სოხუმები ბრძოლას გადაგრძელებენ.

1 ივლისს მილიონი ბოლშევიკი წავა ლიად ჯარისკაც შესახედაო.

ანტანის პრაი სილვას მიერ შედგენილ პორტუგალიის კაბინეტში შედიან: 5 დემოკრატი, 2 ლიბერალი, 3 დამოუკიდებელი და 1 სოციალისტი.

კონსტანტინეპოლიდან გაზეთ „ტანს“-ს აუწყებენ, რომ სამერძნეთის შეტევა აწყდება ისპანელთა. მრავალი გაზეთი კიცავს ნაციონალისტებს რომელთა ავრესიული მოქმედების გამო კილიკიაში ომსაღეთა სოფლებს საფრანგეთის გემები ესროდენ.

სამერძნეთის ჯარის ხაზი გადის სომაზე, გელემეჩე, აკ.ხისარზე, მერმერზე, ადალხე, ფალადელფიაზე და ბოლიდიით მეანდრომდე. ძლიერი რაზმები სწენდენ დაკავებულ ზონას. სოციალიური ოლქების მცხოვრებრომლები ქემალის ტირანიისაგან განთავისუფლების გამო თავის სახარულს გამოსთქვამენ.

ორშაბათს ლოქსემბურგის ბაღში საფრანგეთის რომანისტ სტენდალის ძეგლი აკურთხეს. პოლ ბურეტამ სიტყვა წარმოსთქვა.

დიდი უეზარი, სწერს „ეკონდ პრი“ უორკოუს, რომ საფრანგეთის პრესისთვის მას განცხადება გაუკეთებინა დ უკეთის, რომ მას მიაწერეს სიტყვები თითქოს პორტა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას აბრაკებდეს.

მახაჯი, ივნისის 29. სამხედრო ცნობა. მოზარის რაიონში მკაცრი ბრძოლები სწარმოებს. ჩვენ მოზარის 10—15 ვერ. აღმოსავლეთით რამოდენიმე სოფელი დავიკავეთ. სარნის მიმართულებით ჩვენმა წაწინაღმა ბრძოლით აიღეს სოფლების მთელი რიგი. სტარო-კონსტანტინოვსის მიმართულებით ჩვენი ცხენოსანი ჯარის საუნაღებით მოპირდაპირე დიდი ზარალით რამდენიმე სოფლიდან გავდევნეთ. ჩვენ რამდენიმე ასი პოლონელი ავჩეთი ბერდიანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები მოპირდაპირეს მდინარე სვეტოხინაისკენ მიდენის.

ნოვგოროდ-სკოვოროდსკის მონასტრის სობრის საკურთხეველში ბატეთ დაფარული საიდუმლო შესანახი ადგილი აღმოაჩინეს, სადაც ნახეს 100000 მან. ფულათ და 50000 საწყაო ჭვავი, რომელიც ბერებს აღწერისაგან გადაემალა. ბერები დაიჭირეს.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჟერინმა მიმართა მოკავშირე სახელმწიფოებს და ამაე ცნობით მიმართა ფინეთის და შვეციის მთავრობებს, რომ ალანის კუნძულების გადაცემის საკითხი რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის დაუკითხავად ხდება, მაშინ როდესაც არ არსებობს არავითარი ხელშეკრულებანი და დადგენილებანი, რომლებიც ყურადღებას რუსეთის რესპუბლიკის უფლებებს ამ კუნძულეზე. გარეშე საქმეთა კომისარი აცხადებს, რომ ყოველგვარი გადაწყვეტილება ამ მიმართულებით რუსეთისათვის არა სავალდებულო იქნებაო.

სამხედრო ცნობა

მთავარი შტაბისა, ტფილისი 30 ივნისი.

ყველა ფრონტზე სიწყნარეა.

ივნისის 30. გენ. სუმბათაშვილი ლაგოდეხიდან იუწყება: 28 ივნისს 11 საათზე მახნჩაის მარცხენა მხარეზე ჩვენს მზვერავებს, რომლებიც პოსტზე იდგენ შეტაკება მოუხდათ. 8 წითელი არმიელი მიეხდა ჩვენს მზვერავებს, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ პოსტების დასაზვერავად და წინ მდებარე ადგილის დასათვალიერებლად და დედის გინებით შეძახეს: „ქართველებო, დაჭარეთ იარაღიო“. ჩვენმა მზვერავებმა დაიკავეს თხრილი. წითელ არმიელები გადახტენ ცხენებიდან და ჩვენებს სროლა იუტეხეს, მაშინ ერთმა ჩვენმა მზვერავმა ალედაშვილმა თავისიანებს დაუძახა: „სჯობს ვისროლოთ და მოვკედეთ, ვიდრე სამარცხვინოდ დავმორჩილდეთო“. ჩვენებმა დაუწყეს მათ სროლა და დასჭრეს ერთი წითელ არმიელი, მაშინ წითელ არმიელებმა გინებით დაიწყეს გაპარვა. დაჭრილი იძახოდა „გეშენებიდეთ მე შენ ალიარა, რომ ეშმაკებთან არ ღირს შებმაო“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

◆ **ქალაქის კავშირი.** ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტში განიხილეს კონსტიტუციის პროექტის მე-10 თავი, რომელიც თვითმართველობის მოქმედებას ეხება. თავმჯდომარის ამხანაგმა ვრცელი მოხსენება გააკეთა კონსტიტუციის გამოშუშავებელ კომისიის მუშაობის შესახებ.

◆ **უფასო ლიტერები.** თანახმად თავდაცვის სამჭოს დადგენილებისა ამ წლის ივნისის 27-დან № 55, ყველა გაშვებულ ჯარის კაცებს საყელე მუშაობისათვის უნდა ეძლეოდეს უფასო ლიტერები.

◆ **სუნსაზის შესახედავ.** შიმარაგების სამინისტრომ ნება დართო საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის იყიდოს დასავლეთ საქართველოში ადგილობრივ ნახელავი საქონელი.

◆ **გამში.** 1 ივლისს გაიხსნება გომის კოოპერატივთა კავშირის თანხით აშენებული ელექტრონის სადგური და წყისქვილი.

◆ **მანუფაქტურა.** ქალ. თვითმართველობის სასურსათო განყოფილებამ ესჰანურ ფირმისაგან მრავალი შალის საქონელი იყიდა საქონელთა პირველ წყებას აგვისტოს პირველ რიცხვებში მოელიან.

◆ **თევზის მრეწველთა შეამდგომლობა.** თევზის მოწველთა კავშირი ეაშობა-პრეწველობის საბჭოს დეპუტატთა დაბმარებით მთავრობის წინაშე ეწევა შეამდგომლობას, რათა მთავრობამ დაიცვას მათი ინტერესები აღდგენეულის მთავრობის წინაშე. თევზის მრეწველთა საბჭო აღნიშნავს, რომ ძლიერ მდიდარი სამრეწველოებია, სადაც გადატრიალების წინ მრეწველობა უამრავი ფული გაგზავნეს თევზის სასიდლათ. გადატრიალების წყალობით ადგილობრივ დარჩა ფულიც და თევზიც, რის გამოც ტფილისში თევზის ბაკლებობა, რადგან ტფილისში თევზი მხოლოდ ბაქოს რაიონიდან მოდიოდა. ეხლა თევზის მრეწველებს მოელის სამრეწველოების ნაციონალიზაცია. ამასთან ერთად მრეწველი გადასახადთა ამკრეფ სამმართველოს სთხოვენ, რომ დამატებითი გადასახადების დროს მიღებულ იქნას მხედველობაში შეჭნილი მდგომარეობა.

◆ **მეორე საეკლესიო ყრილობა.** მეორე საეკლესიო ყრილობის სხდომა ქვაშვეთის ეკლესიაში შესდგა. პირველ სხდომის ოქმის დამტკიცების შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო სამხედრო მინისტრის გასაგზავნი მისასალმებელი დეპეშის რეზოლუცია. ყრილობაზე მყოფმა დელეგატმა ჯარის შტაბიდან პოლკ. ამესამე მისალმებაზე მოკლე სიტყვით უპასუხა და იმედი გამოსთქვა, რომ მომავალშიაც ეკლესია და ჯარი წიაყვანს ქართველ ხალხს კულტურისკენ, აყვავებისკენ და სიძლიერისკენ. ამის შემდეგ ყრილობა საქმიან მუშაობას შეუდგა. ქაოალაკოსის საბჭოს წევრმა, სბჭოს მიერ შემუშავებული ეკლესიის კონსტიტუციის პროექტი გამოაქვეყნა. პროექტში შეიტანეს მცირე შესწორებები, რის შემდეგაც იგი ყრილობამ მიიღო. შემდეგი სხდომა დანიშნული შემდეგი დღის დილის 9 საათზე. გადაწყვეტილია გადახდენ პარაკლისი ბათომის შეოერთების გამო, აქვე გადაიხდენ ომში დაღუპულ მოომრების პანაშვიდს.

◆ **დეპეშა კონი.** მ. ჯანაშვილმა გადაწერა ქართულ-რუსული ლექსიკონის ნახევარი; სა. ბას და ჩუბინაშვილის ლექსიკონებთან შედარებით აღმოჩნდა შემდეგი:

	სახა	ჩუბ	ჩემი
ა	1188	3218	6344
გ	680	1206	2464
დ	1278	3309	9416
ე	1338	3600	4100
ვ	508	405	744
ზ	559	335	656
ი	290	650	1411
კ	6	1	27
თ	520	1050	2840
ი	623	313	798
ლ	847	974	3220
მ	374	457	1160
ნ	2236	5701	14835
ო	50	101	232
პ	74	46	220
ჟ	3	5	5

◆ **სოციალურ დახმარების ორგანიზაცია.** სოციალური დახმარების ტფილისის ცენ საზოგადოება ფებრობის გადაწყვეტი ზომები მიიღოს ცალ-ცალკე საქველმოქმედო შეკრების მოსასპობით და შესაკრების ყოველ თვიურად რეგულარულად შეკრებით ყველა ფირმიდან და დაწესებულებიდან ერთდროული განსაზღვრული გადარიცხვის სახით. ამდენად დაინიშნება ყოველი თვის 26 რიცხი საჭიროების დამოუკიდებლობის დღის სახსოვრათ ამავე დღეს მოაწყობენ შესაკრებ პუნქტებს, საიდანაც საზოგადოების აგენტები გაიგზავნება საზოგადოების დაწესებულებების დასთვალიერებლად.

◆ **გაზეთების გაფრთხილება.** ტფ. გენ. გუბერნატორის კანცელარია სთხოვს პრესბიუროს აუწყოს ყველა ტფილისის გაზეთებს, რომ ცნობები, რომელნიც შეეხება სომხ მოქმედებებს და საქართველოს რესპუბლიკის ლაშქარს არ უნდა იბეჭდებოდეს სამხედრო ცენზურის ნებადაურთველად. ამას გარდა ყველა გაზეთის ნომერზე უნდა აღნიშნულ იყოს გვარი პასუხისმგებელ რედაქტორისა.

◆ **მთავრობის ბრძანებული** ახალციხის ახალქალაქის, მაზრის აღმინისტრაციისა და მიქაბერიძე გიმნაზიისა ბათომის აღმინისტრაციის მოსაწყობად.

◆ **ბათომის შემოერთების გამო** დღეს ქვაშვეთის ტაძარში მეორე საეკლესიო საბჭოს ინიციატივით გადახდილ იქნება სამადლობელი პარაკლისი და შემდეგ პანაშვიდი ბრძოლს ველზე დაღუპულ მებრალთა სულის მოსახსენებლად.

რუსთა ეროვნულ საბჭოში. რუსთა ეროვნულ საბჭოს სოც. დემ. ინტერნაციონალისტთა ფრაქციამ შეიტანა დასაბუთებული განცხადება თავის ვასვლის შესახებ საბჭოდან.

ქართული სტუდია. შაბათს ივლისის 3-ს შეიკე ქართულ კლუბში დასდგამს „მოჯადოებულის ცნობილ პიესას „სულელს".

„სამშობლო" მუშტაიდის კლუბში. დღეს ივლისის 1-ს კლუბ მუშტაიდში დამსახურებული მსახიობ ვალ. გუნიას და ვ. გამყრელიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „სამშობლო".

საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულების დამოკიდებულება. მთავრობის დადგენილების თანახმად ფინანსთა სამინისტრომ გამოიმუშავა ინსტრუქცია ბაქოთაღის ოლქის სამაგისტრო. ინსტრუქციაში აღნიშნულია, რომ ბაქოთაღის ოლქის მცხოვრებთ დროებით ნება ეძლევათ შეტანონ და გამოიტანონ საქონლეობით მცხოვრებლებისთვის საჭირო სურსათი: ბანოვანტურა, სამეურნეო მანქანები და სხვა. ეს ნებართვა არ ვრცელდება იმ საქონელზე, რომელიც სახელმწიფოს მონოპოლიას შეადგენს, ე. ი. ბატკნეზი, აზოვშუშე და თუთუნზე. ნებადართულია მხოლოდ ისეთი საგნების შეტანა, რომელიც მცხოვრებთ ძლიერ ესაჭიროებათ. ინსტრუქცია ავალებს საბაჟოს ფინჩიული თვალყური ადევნონ, რომ სპეკულიანტებმა არ ისარგებლონ და მეზობელ რესპუბლიკაში საქონელი არ გაიტანონ ყველა ოპერაცია იწერება სავანგებო წიგნში. საბაჟოებმა ყოველთვიურად უნდა წარადგინონ ფინანსთა სამინისტროში დაწერილებითი ცნობები რა და რამდენი ვაიტანეს და შემოიტანეს და სხვა.

ქალაქის მოურავის თანამდებობის აღსრულება ბ. ჩხეიძეშვილის ბათომში წასვლის გამო დაევალა ბ. კონიაშვილს.

რუსთა ეროვნული საბჭოს დახურვა. ივ. 29-ს კრებაზე რუსთა ეროვნულ საბჭომ დადგინა, დაიხუროს ეს საბჭო და მის ნაცვლად დაარსდეს რუსთა ეროვნული საბჭო საქართველოში რუს მოქალაქეთა დელეგატების შემადგენლობით, რესდაც გამეორება 3 წელიწადისად. მოკლე ხანში მოწვეულ იქნება ყრილობა ამ საბჭოს არჩევნებისათვის.

სენატი

1920 წლის ივლისის 8 სენატის სხდომის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების სასჯარებულო სასამართლო სხდომაში განსახილველად დილის 10 საათზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

საქმე № 43. მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ვასილ პაპლეს ძე ფურცვანაძისა ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული დამნაშავედ არის ცნობილი თანაბრად 1180 მ. 3 ნაწ. სასჯ. დებ.

საქ. № 58. მაგ. 2. გიორგი დიმიტრის ძის კაკაბაძის საკასაციო საჩივარი სიღნაღის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული დამნაშავედ არის ცნობილი ეორი კაკაბაძის ხელით შეურაცყოფის მიყენებაში.

სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების 1920 წლ. ივლისის საჯარო სხდომაზე დილის 10 ს. განსახილველად დანიშნულია:

1. საქმე პეტროგრადის სპილენძის გასაპრტყელებელ ქარხნის საზოგადოების არშაკ ავეტის ძე ტერ-ავრამოვთან 8.000 მან. თაობაზე.

2. საქმე ალექსანდრე მაისურაძის სომხეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან 110.000 მან. თაობაზე.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჯარში.

თუ რომელიმე სამხედრო ნაწილში აქვს შნიშნელობა კულტურულ განმანათლებელ მუშაობას, ყველაზე მეტი სანაპირო ჯარებში აქვს, ვინაიდან საზღვარზე მდგომი ჯარის კაცნი მოწყვეტილნი არიან კულტურულ ცენტრს და ამისათვის მათ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურულ განმანათლებელი მუშაობა ჯარში სწარმოებდა და დღესაც სწარმოებს.

სიღნაღის სანაპირო რაზმთან დაარსდა ცენტრალური ბიბლიოთეკა—საჭიროებელი, შესდგა კულტურულ-განმანათლებელი გამგეობა, მოეწყო მოძრავი სამკითხველოები საზღვარზე მდგომ ნაწილებისათვის.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ ნაწილში უკვე გაორკეცებული ენერგიით შეუდგენ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას.

სიღნაღის რაზმის სამკითხველო და წიგნების ცენტრალური საწყობი ინახულეს სანაპირო ჯარების უფროსმა გენ. ახმეტელაშვილმა და ინსტრუქტორმა კაპიტანმა ალ. გორგაძემ, და ნასიამოვნები დარჩენ ნახულით.

დიდი ბანია რაც ფოთის სანაპირო რაზმთან არსებობს ბიბლიოთეკა—სამკითხველო და ჯარის კაცთა სკოლა, აქაც აწყობენ მძრავ სამკითხველოებს, რისთვისაც ამზადებენ წიგნებისათვის ყუთებს.

ორივე ნახსენებ ნაწილებს დაეგზავნათ სასწავლო ნივთები და სანაპირო ჯარების უფროსის ბრძანებით სავალდებულოა წერა-კითხვის სწავლება ჯარის-კაცთათვის. სახელოებზე ჯარის-კაცებს წერა-კითხვას უნდა ასწავლიდეს სადარაჯოთა უფროსები. ბრძანების ცხოვრებაში გატარება ევალება სანაპირო ჯარების ინსტრუქტორებს. საგულოთ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ დიდი მუშაობა სწარმოებს და თუ კულტურულ განმანათლებელი სექციაც ყურადღებით მოეკიდება სანაპირო ჯარებს, იმედია დასაბეჭდებული მიზანს სისრულეში იქნება მოყვანილი. სანაპირო ჯარების უფროსმა დაუგზავნა ავრეთვე ბრძანება სანაპირო რაზმების ოფიცრებს და ექიმებს, სისტემატიურად ყოველთხრ ხოლმე ლექციები ჯარის-კაცებს საზღვრებზე. განსაკუთრებით ბრძანების თანახმად ევალებათ რაზმების ექიმებს დაიარონ ხოლმე სადარაჯოები და იკითხონ ხოლმე ლექციები გივენიდან. სამხედრო სამინისტროს კულტურულ განმანათლებელი სექცია ყველა საზღვარზე მდგომ დარაჯებს უგზავნის ტურნალ-გაზეთებს, სამკითხველოების გარდა ახრათაა აგრეთვე მოეწყოს საზღვრებზე მდგომ ჯარის-კაცებისათვის სკოლები, სადაც მასწავლებლობას სადარაჯოს უფროსები გასწევენ.

ალე.

ფრონტისათვის

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის ფულითა და ნივთებით შემოწირულებათა ანგარიში.

ვასილ გეგეჭკორისაგან 1000 მ., პუშკინის პასაჟის მომუშავეთაგან 4900 მ. ქვაშეთის წმიდ. გიორგის სამრევლო სკოპისაგან 5,000 მ., მეორე ქართული კლუბისაგან 90,159 მ., ამხ მეფისტოსაგან 5,125 მ., ქსენია და ალექსანდრე შმატასაგან 2,000 მ., ქალთა საოსტატო სემინარიისაგან 2030 მ., ტფილისის სიხ. სპ. მილიც. მოსამსახ. 14,550 მ., გამყრელიძისაგან 3. დ. 2,000 მ., დანელიასაგან ვ. 1000 მ.. როზენფელდისაგან ნ. ა. 1000 მ., გაბაევისაგან ე. ი. 100 მ., ივანოვისაგან ს. ა. 100 მ., ლინეფსკისაგან ნ. კ. 100 მ. „უნიონის" წევრთაგან 60,000 მ., ტფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან 30,332 მ., ტფილისის წმიდ. სანთლის ქარხნისაგან 15,000 მ., ტფილისის მილიციის უფროსისაგან (მოსამსახურ. შეკრ.) 110,000 მ., ტფილისის საერთაერთო სამეურნეო საზოგ.—50000 მ., სახელმწიფო ქალალდების დამზადებელი ექსპედ. 9323 მ., ხარაგოულის ფრონტის დამხმარე ცენტრალ. კომიტეტ.—6701 მან., ტფილისის მთავრობის მამადავითის ეკლესს. წინამძღვარ.—3000 მ., აღმოსულიის მაზრის მილიციის უფროს.—2000 მ., მოძარაგ. სამინისტ. თანამშრომელთაგან—5060 მ., 6 უბნის სასურსათო კომიტეტის თანამშრომ.—2500 მ., „დერმენდელი შურა"-საგან—1000 მ., ტფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო (ქრთამთა მიტანილი) ვაჭრებისაგან—500 მ., მეორე ქართული კლუბისაგან—26489 მ., ტფილისის ქალთა მესამე გიმნაზიისაგან—8610 მ., პ. ხოდორკისაგან—50000 მ., შუშამოსამსახურე ცენტრალური გამგეობისაგან—50000 მ., ტფილისის თავშესაფარის მოსამსახურეებისაგან—375 მ., საკაიანის და პროზოროვსკისაგან—200 მ., ყოფილ ოფიცერთა საზოგადოებისაგან—4295 მ., ლანჩხუთის საურთიერთო ნდობის საზოგ.—17405 მ., აქციონერული საბ. ვანყ. „ფილმასაგან"—20000 მ., შუხრანის ფრონტის დამხმარე კომიტეტ.—1171 მ., პროფესიონალური საზოგად სამართველოდან—1008 მ., სახ. „კავკასი და მერკური"-საგან—20000 მ., მ. ს. აბრამოვისაგან—(ვოლგა და რუსული დამზღვევი საზოგად.)—20000 მ. გოროს ვაჟთა გიმნაზიის (მოწაფეებისაგან)—2134 მ., „მერცხალი"-საგან—25650 მ., რკინის გზის მთავარი პორის საცხობში მომუშავ.—2820 მ., სოფ. ორტოფოდან—1528 მ., ჰიპოლრის უმეღლეს სასწავლებლის მოწაფეებისაგან—2880 მ., სენაკის მაზრისაგან—435 მ., კიდევ—7456 მ., სამხედრო წმიდ. გიორგის ტაძარში შეკრებილი—1338 მანეთი, ქართველ მსახიობთა კავშირისაგან—2000 მან., სენაკის ქალაქის გამგეობისაგან 20,965 მ., სენაკის მაზრის ერობისაგან (პოლა აბულათის საზოგ.) 543 მან., ლაგოდეხის ფრონტის დამხმარე კომისიისაგან 5,000 მ., ლაგოდეხის ცხენის მოყვარეთა წრისაგან 5,000 მ., ტფილ. მიხეილის სავადმყოფოს მოსამსახურ. 9,260 მან., თელავის ფრონტის დიდი მომწყობი კომისიისაგან 35,000 მ., ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა პროფ. კავშ. 11,535 მან. 55 კ., ტფილისის სახელმწიფო კონტროლის მოსამსახურ. 19,660 მ., რკინის გზის მოსამსახურეთა ბავშვებისაგან (მათი წარმოდგენიდან) 124 მ., გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"-საგან 6,200 მ., ფოთის რაიონული ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირისაგან 7,181 მ., დიდი ჯიხაიშის თემის გამგეობისაგან 17,000 მან., ივ. ჭალის წყალსადენის პროფ. კავშირის სექციისაგან 11,933 მ., ტფილისის კომენდანტისაგან (16 მაისს გამართულ დღესასწ.) 98,667 მან.

P. S. აქ მოყვანილი ანგარიში თუ შეცდომას შეიცავს კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს ყველას დაუყოვნებლივ ეცნობოს ეს გარემოება მთავარ კომიტეტს. (ტფილისი, სასახლე).

განცხადებანი

დაიკარგა პასპორტი მართა გიაურის ასული თუასურის სახელზე, მიღებული ტყვიაურის ერობისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1686 3—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 25275 ვლადიმერ ვასილის ძე რუსიას სახელზე, მიღებული სინოდალურ კონტორიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1696 3—1

დაიკარგა ბელშეკრულობის ქაღალდი № 184, რომელიც დადებული იყო ტფ. ქალაქის თვითმართველობისა და სოფიო მიხეილის ასული ბათომის შირის 1914 წ. 24 თებერვალს ექვსი წლის ვადით. ნაძალადევში (რუსთაველის ქუჩაზე) სამოსახლო ადგილს იჯარით აღების შესახებ. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1670 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო მარათი № 208 მიღებული ტფ. სამხედრო ორდენების უფროსისაგან ა. წ. 8 ივნისს; პირადობის მოწმობა № 1861, მიღებული სომხეთის ნაციონალურ საბჭოდან და, მოწმობა მიღებული კავკავ. ქალაქის მილიციიდან 1919 წ. ივნისე ალექსანდრე ძე ოგანოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1614 3—1

დაიკარგა სამსახურის მოწმობა ალექსანდრე არიუტინის სახელზე, მიღებული ტფ. 5 ვაჟთა გიმნაზიან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1633 3—3

დაიკარგა ვალების ნუსხათა № 213 ათასნაი გიორგის ლარიონოვის სახელზე, მიღებული ტფილის ქალაქის გამგეობიდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1632 3—3

დაიკარგა ტლეობის მოწმობა სანდრო ზაქარიას ძე ვარაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიც უფროსის სამართველოდან გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1640 3—3

დაიკარგა ატესტატი № 140 ბორის ლევის სახელზე მიღებული პალმოვის რუსულ ვაზალო სწავლებლიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1630 3—3

ქ. ტფილის მცხ. უბნ. მომრიგებელი მოსამართლე აწვევს 1911 წ. 6 იანვრის გამოცემულ გაბრიელ გამზახვის მემკვიდრეებს რათა მოცაცხადონ თავიანთი უფლება გამზახვილებაზე სამ. კან. კრებ. 1 წ.ჯ. ტ. 1241 ნუმ. გამოცემული ვადაში.
1454 1—1

დაიკარგა უვად პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის მმართველობან, და რეგისტრაციი მოწმე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ართემ ოგანეზის-ძე ბაჩატურის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1684 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული მაღალაკის საზოგადოების ინსპექციაიდან და ჯარში ნამსახურობის ნუსხა, მიღებული ჭოთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ნესტორ კოსტის ძე ჟვანიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1679 3—1

დაკარგა პასპორტი ალექსანდრე დავითის ძე ენტის სახელზე, მიღებული ამაღლების თემიდან (გორა) და სამხედრო ბეჭდარიდან ტფილის მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1666 3—1

დაიკარგა ატესტატი, მიღებული ზუგდიდის სოფალაგასწავლებლიდან და მასწავლებლის დიპლომის მოწმობა კარტელის 2 კლასწავლების მასწავლებლის აქსენტი ერასის ძე ჟვანიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1647 3—1

ჩანაწერი

აცხანაში (გურია)

იყიდება ადგილობრივი საუკეთესო ღვინების ჩაი

პირობის გაგება შეიძლება მღვდ. მ. ტუსკისთან. (ნ.) 6—1

ქ. ბორჯომში

გზა-ტკეცილების და წყლით-ბაგლ სამმართველოს მეთოხე დისტანციის განცხადება

ნ ივლისს დღის 12 საათზე 1920 წ. დანიშნულია იჯარით ვაჭრობა დახურულ განცხადებებით, ფასზედ გადაუფარებლათ ქვემო აღნიშნული სამუშაოებზე:

527 კუბ. საჟ. ვაუცხრილავი დაბურული ქვიშა დაწყობება შემდეგი ბორბოების შესაკეთებლათ: ხაშური—ბორჯომი, ბორჯომი—ციხისძირი და ახალციხე—ბაბანთმანის გზებზე ქვემო მოყვანილ რიგით:

1) ხაშურა-ბორჯომის შუა 1—26 ვერ.—136 კუბ. საჟენი—273.135 მან.
2) ბორჯომ-ახალციხეს შუა 1—1 ვერ.—86 კუბ საჟ.—180.720 მან.
3) ბორჯომ-ახალციხეს შუა—18—19 ვერ. და ახალციხე-ბაბანთმანის შუა—50—79 ვერ. 296 კუბ. საჟ.—594.220 მან. ოთხი თვე განმავლობაში გათავების ვადით მუშაობის დაწყების დღიდგან.

ვალირთ ამოებს აქვს ნება ყოველ ინსპექციის სახაზედ გავლის დროს ჩააბაროს შესრულებული სამუშაო.

ვალირთ ამოები მსურველს შეიძლება განსაკუთრებულ მუშაობის ალება როგორც სულ მთლიან ზემო აღნიშნულზე ისე ცალ-ცალკე უბნებზედ ამასთანავე ფასი უნდა იყოს განცხადებული ან ერთიან სამუშაოზე, ან ცალ-ცალკე უბნებზე და ან ერთ კუბ. საჟ. ოლიან ქვაზე და ან ცალ-ცალკე.

ვალირთ გაჭრობის მხურვალეშენდა წარმოდგენის ბეთ 10% განცხადების თანხის შედარებით, დაბეჭდილი განცხადების ან ტ. ტ. ოროს განცხადება ივზავნება ფოსტით ამ შემთხვევაში ფული უნდა იყოს გზავნილი ადრე დაბეჭდილი პაკეტით. განცხადებები უნდა იყოს წარმოდგენილი ან ვადიანად ზემოაღნიშნული დღის 12 საათამდე. დაბეჭდილ განცხადებაზე გარეკნან უნდა ეწეროთ რა სამუშაოები და ან რომელ უბანში სურს აიღოს სამუშაო.

ყველა ზემო აღნიშნული სამუშაოების ვალირთ ამება შეუძლია პირობების გაგება მეოთხე დინისტანციის კანცელარიაში ყოველ დღე გარდა უქმისა 10 საათიდან დღის 2 საათამდე ქ. ბორჯომში.
665 3—2

საბჭოს სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გოგიტიძე